

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ ნომერი, 2021 წელი, ქალაქი ბათუმი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს შორის 2021 წლის 01 ივნისს დადებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №9“-ში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ვ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს (ს/№ 445598443) შორის 2021 წლის 01 ივნისს დადებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №9“-ში შევიდეს ცვლილება და ხელშეკრულების 2.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.3. აუქციონში გამარჯვებულისთვის ცნობილია, რომ საპრივატიზებო მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ არსებულ №05.27.15.744 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იგეგმება ქუჩის მშენებლობა (მოწყობა), რომელიც უნდა შეუერთდეს არსენა ოძელაშვილის ქუჩას, რიც საშუალებასაც არ იძლევა კერძო საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ოძელაშვილის ქ. №4ა-ში მდებარე 171,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 113,27 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.722). აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 თვეში, მესაკუთრესთან უშუალო შეთანხმებით და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს აღნიშნული უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.722) მესაკუთრისგან გამოსყიდვა, მასზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, თავისუფალი მიწის ნაკვეთის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა და ამ მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამისი რეგისტრაციის ღონისძიებების განხორციელება.“.

2. წინამდებარე განკარგულებაში იდება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თეზიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს შორის 2021 წლის 01 ივნისს დადებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №9“-ში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

- ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებისა (ცვლილება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №გ-15.15210892 განკარგულება - 30.03.2021წ.) და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების პრივატიზებისათვის პირობებიანი ელექტრონული ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 აპრილის №14.14.2111217 ბრძანების საფუძველზე, ქალაქ ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე 3946,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.742) და ქალაქ ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე 5958,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.743) ერთ ლოტად პრივატიზებულ პირობებიან ელექტრონულ აუქციონზე (განაცხადის #:42IMF121 , აუქციონი #:42), აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №05/2021 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) თანახმად გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „შინჩიბა“ (ს/ნ 445598443).

2021 წლის 01 ივნისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს შორის გაფორმდა „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №9“.

ზემოთ აღნიშნული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №05/2021 ოქმისა (ადმინისტრაციული დაპირების) და 2021 წლის 01 ივნისის №9 პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების თანახმად შპს „შინჩიბა“-მ სხვა ვალდებულებებთან ერთად იკისრა შემდეგი ვალდებულება: „2.3. აუქციონში გამარჯვებულისთვის ცნობილია, რომ საპრივატიზებო მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ არსებულ №05.27.15.744 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იგეგმება ქუჩის მშენებლობა (მოწყობა), რომელიც უნდა შეუერთდეს არსენა ოძელაშვილის ქუჩას, რიც საშუალებასაც არ იძლევა კერძო საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ოძელაშვილის ქ. №4ა-ში მდებარე 171,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 113,27 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.722). აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვეში, მესაკუთრესთან უშუალო შეთანხმებით და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს აღნიშნული უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.722) მესაკუთრისგან გამოსყიდვა, მასზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, თავისუფალი მიწის ნაკვეთის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა და ამ მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამისი რეგისტრაციის ღონისძიებების განხორციელება.“.

2021 წლის 01 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებიდან 6 (ექვსი) თვეში (ანუ 2021 წლის 01 დეკემბრამდე) შპს „შინჩიბა“ ვალდებულია მესაკუთრესთან უშუალო შეთანხმებით და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ქ. ბათუმში, ოძელაშვილის ქ. №4ა-ში მდებარე 171,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 113,27 კვ.მ. შენობა-ნაგებობა ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.722) მესაკუთრისგან გამოსყიდვა, მასზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, თავისუფალი მიწის ნაკვეთის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა და ამ მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამისი რეგისტრაციის ღონისძიებების განხორციელება.

2021 წლის 17 ივნისს №10/1421168661-14 განცხადებით მომართა შპს „შინჩიბა“-მ, სადაც აღნიშნა, რომ შპს „შინჩიბა“-მ აწარმოა მოლაპარაკებების პროცესი უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.722) მესაკუთრესთან - შპს ჯი.არ.აი“-ს (ს/ნ 445587491) უფლებამოსილ წარმომადგენელთან, მიუხედავად იმისა, რომ შპს „შინჩიბა“-მ ზემოთ მითითებული ვალდებულების ჯეროვანი და სრულყოფილი შესრულების მიზნით, მის ხელთ არსებული მატერიალური/აღამიანური რესურსების სრული მობილიზება მოახდინა და მაქსიმუმი გააკეთა იმისათვის, რომ „გამოესყიდა“ შპს „ჯი.არ.აი“-სგან უძრავი ქონება, ყოველგვარი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, მოლაპარაკებების პროცესი

ჩაიშალა და ითხოვა ხელშეკრულების 2.3.-ე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების ნაცვლად შპს „ჯი.არ.აი“-სგან უძრავი ქონების გამოსყიდვისა, უზრუნველყოფს მრავალფუნქციური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 300 (სამასი) ნომრიანი სასტუმროს აშენება, რისთვისაც საჭიროა 2021 წლის 17 ივნისის №10/1421168661-14 განცხადებაზე დართულ (სიტუაციურ ნახაზზე) „მონიშნული“ უძრავი ქონება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 13 ივლისის №14-1421194631 წერილით ეთხოვა შპს „შინჩიბა“-ს წარმოედგინა დეტალური ინფორმაცია (წერილობითი მტკიცებულებები) №05.27.15.722 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების გამოსყიდვის საკითხზე შეთანხმების მიღწევის მიზნით შპს „შინჩიბა“-ს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, ასევე ეთხოვა შპს „შინჩიბა“-ს გაეგრძელებინა მესაკუთრესთან მოლაპარაკებები, უზრუნველყო მითითებული ქონების გამოსყიდვა და ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების სრულად შესრულება.

2021 წლის 14 ივლისის №10/1421195621-14 განცხადებით მომართა შპს „შინჩიბა“-მ და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 13 ივლისის №14-1421194631 წერილის პასუხად, დანართის სახით, წარმოადგინა 2021 წლის 14 ივლისის შპს „ჯი.არ.აი“-ს დირექტორის სახელზე გაგზავნილი განცხადება.

2021 წლის 17 აგვისტოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა შპს „შინჩიბა“-მ №10/1421229240-14 განცხადებით, სადაც აღნიშნულია, რომ მიმართა 2021 წლის 04 აგვისტოს განცხადებით შპს „ჯი.არ.აი“-ს დირექტორს და კიდევ ერთხელ დააფიქსირა პოზიცია უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.722) გამოსყიდვის თაობაზე, რომელიც შპს „ჯი.არ.აი“-ს (ს/ნ 445587491) უფლებამოსილ წარმომადგენლის მიერ დარჩა რეაგირების გარეშე. ასევე განცხადებაში აღნიშნულია, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით №05.27.15.722 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მთლიანი საბაზრო ღირებულება შეადგენს - 257 369 (ორასორმოცდაჩვიდმეტიათას სამასსამოცდაცხრა) ლარს და სთავაზობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, რომ მითითებულ 257 369 (ორასორმოცდაჩვიდმეტიათას სამასსამოცდაცხრა) ლარს ჩარიცხავდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე, და სანაცვლოდ გათავისუფლებული ყოფილიყო ხელშეკრულების 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

2021 წლის 01 სექტემბერს №10/1421244129-14 განცხადებით მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შპს „შინჩიბა“-მ, სადაც ითხოვა, რომ №05.27.15.743 და №05.27.15.742 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის მდებარე №05.27.15.744 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გადაცემოდა საკუთრებაში პირდაპირი მიყიდვის ფორმით და 2021 წლის 01 ივნისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს შორის გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №9“-ის 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ნაცვლად განახორციელებს საინვესტიციო პროექტს, კერძოდ, უზრუნველყოფს მრავალფუნქციური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 300 ნომრიანი სასტუმროს აშენებას.

„ქ. ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე 5958,00 კვმ და 3946,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შემძენის - შპს „შინჩიბას“-ს სახელზე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მერის 2021 წლის 23 სექტემბრის №81.14212666 ბრძანების საფუძველზე 2021 წლის 23 სექტემბერს გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №106 და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №105, რომელთა საფუძველზეც 2021 წლის 28 სექტემბრიდან ზემოთ აღნიშნული №05.27.15.742 და №05.27.15.743 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრე გახდა შპს „შინჩიბა“.

2021 წლის 24 სექტემბერს №10/1421267316-14 განცხადებით მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შპს „შინჩიბა“-მ, სადაც ითხოვა, რომ №05.27.15.743 და №05.27.15.742 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის მდებარე №05.27.15.744 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გადაცემოდა საკუთრებაში პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სადაც განცხადებაზე დართული ესკიზის შესაბამისად მოაწყობს მიწისქვეშა პარკირებას და ამ ტერიტორიას უფლებამოსილი ორგანოს სასარგებლოდ დატვირთავს სერვითუტით, ხოლო უშუალოდ მის საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც არ გავრცელდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არც ერთი სანივთო სამართლებრივი შეზღუდვა, უზრუნველყოფს მრავალფუნქციური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 300 ნომრიანი სასტუმროს აშენებას, 2021 წლის 01 ივნისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს შორის გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №9“-ის 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ნაცვლად.

2021 წლის 24 სექტემბერს შპს „შინჩიბა“-მ მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას №10/1421267316-14 განცხადებით, სადაც აღნიშნა, რომ შპს „ჯი.არ.აი“-სთან კვლავ გრძელდება მოლაპარაკებების პროცესი და ითხოვა 2021 წლის 01 ივნისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის

აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს შორის გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №9“-ში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების 2.3. პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომელშიც მითითებული 6 თვის ნაცვლად განისაზღვროს 9 თვე.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

2021 წლის 01 ივნისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს შორის გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №9“-თ გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე

**პირობებით გამოცხადებული აუქციონის
ხელშეკრულება**

№9

ქ. ბათუმი

01 ივნისი, 2021 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები, სამართლებრივი საფუძვლები და საგანი

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა ერთი მხრივ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, წარმოდგენილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - იურისტის მუხრან ჯორბენაძის (პ/№61009026911) სახით, მოქმედი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 31 მაისის №ბ.14.2115119 ბრძანების საფუძველზე და მეორეს მხრივ შპს „შინჩიბა“-ს (ს/№445598443, წარმოდგენილი დირექტორის ოზგურ ქურთის (პ/№73165144506, U24430306) მინდობილი პირის შუ მინგის (დაბ.02.10.1976წ. პ/№EE2557384) სახით, შემდგომში „მყიდველი“ ან „აუქციონში გამარჯვებული“) შორის მასზედ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, ქ. ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე 3 946,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.27.15.742) და ქ. ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე 5 958,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.27.15.743) შემდგომი პრივატიზების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გამართულ №42 აუქციონზე №1 ლოტზე მის მიერ შემოთავაზებული ფასის: 15 095 428,00 (თხუთმეტი მილიონ ოთხმოცდათხუთმეტი ათას ოთხას ოცდარვა) ლარის საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად და მას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2021 წლის 18 მაისის №05/2021 ოქმით და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საფუძველზე, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ საკუთრებაში გადაეცემა ქ. ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე 3 946,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.27.15.742) და ქ. ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტო-

რიაზე მდებარე 5 958,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.27.15.743, შემდგომში - ქონება).

2. სააუქციონო პირობები/შეზღუდვები

2.1. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასური 15 095 428,00 (თხუთმეტი მილიონ ოთხმოცდათხუთმეტი ათას ოთხას ოცდარვა) ლარი გადაიხადოს შემდეგი წესით:

ა) სრული საპრივატიზებო საფასურის 30% - წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 02 (ორი) თვის ვადაში;

ბ) 2.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდის შემდგომ, სრული საპრივატიზებო საფასურის 30% - წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 04 (ოთხი) თვის ვადაში;

გ) დარჩენილი გადასახდელი სრული საპრივატიზებო საფასურის 40% (საგარანტიო თანხის/ზეს გამოკლებით) - წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 06 (ექვსი) თვის ვადაში.

2.2. საპრივატიზებო საფასურის გადახადა 2.1. პუნქტით განსაზღვრული წესით უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე 200122900 (ერთიანი არასაგადასახადო ანგარიში (ბათუმი)), მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, შემოსავლის სახაზინო კოდი 300693390.

2.3. აუქციონში გამარჯვებულისთვის ცნობილია, რომ საპრივატიზებო მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ არსებულ №05.27.15.744 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იგეგმება ქუჩის მშენებლობა (მოწყობა), რომელიც უნდა შეუერთდეს არსენა ოძელაშვილის ქუჩას, რის საშუალებასაც არ იძლევა კერძო საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ოძელაშვილის ქ. №4ა-ში მდებარე 171,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 113,27 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი: 05.27.15.722). აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვეში, მესაკუთრესთან უშუალო შეთანხმებით და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს აღნიშნული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 05.27.15.722) მესაკუთრისგან გამოსყიდვა, მასზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, თავისუფალი მიწის ნაკვეთის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა და ამ მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამისი რეგისტრაციის დონისძიებების განხორციელება.

2.4. ხელშეკრულების 2.1. და 2.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობა უნდა აისახოს საჯარო რეესტრში.

3. სხვა პირობები და ვალდებულებები

3.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონში გამარჯვებული მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრირდება შეძენილი ქონების მომავალ მესაკუთრედ.

3.2. ოქმისა და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად დაფარვამდე აუქციონში გამარჯვებულს მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა მფლობელობაში. ის უფლებამოსილია ამ ქონებასთან დაკავშირებით აიღოს ნებართვები (მათ

შორის მშენებლობის), ლიცენზიები და განახორციელოს სხვა ქმედებები საპრივატიზებო პირობების/შეზღუდვების გათვალისწინებით. ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

3.3. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მოთხოვნისთანავე, მათ შესრულებაზე წარუდგინოს ინფორმაცია აუქციონატორს.

3.4. აუქციონში გამარჯვებულს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გადაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი.

3.5. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია ოქმითა და წინამდებარე ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წინასწარ წერილობით უნდა ეცნობოს გამყიდველს.

3.6. შეძენილი ქონების სააუქციონო პირობებთან მიმართებაში ყოველი ახალი მესაკუთრე წარმოადგენს აუქციონში გამარჯვებულის უფლებამონაცვლეს.

3.7. ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

3.8. ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებული იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ოქმითა და ხელშეკრულებით ელექტრონული აუქციონის პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (აღნიშნული პირგასამტეხლო, ამავე პუნქტით დადგენილი ოდენობით, გამოიყენება ასევე ქონების შემძენის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის განწილვადების გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში);

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 15 000,0 (თხუთმეტი ათასი) ლარს;

გ) მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%-ს.

3.9. ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების გაუქმების საფუძველად. აუქციონში გამარჯვებულს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, არ უბრუნდება შეტანილი ბე ან წარმოდგენილი საბანკო გარანტია, გადახდილი თანხები და არ აუნაზღაურდება ქონებაზე გაწეული ხარჯები.

3.10. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლება გადადის შეძენილი ქონების სრული საპრივატიზაციო საფასურის სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შეძენილი ქონების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების მოწმობა გაიცემა და საკუთრების უფლება გადადის ნაკისრი ვალდებულების/სააუქციონო პირობების შესრულების პირობით.

3.11. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს და რეგისტრაციის ხარჯებს იხდის აუქციონში გამარჯვებული.

3.12. აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი ბე ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

3.13. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს, სრული საპრივატიზაციო საფასურის გადახდის შემთხვევაში, წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უბრუნდება უკან.

3.14. იმ შემთხვევაში, თუკი ოქმითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულია შეზღუდვები, აღნიშნული განიხილება როგორც შეძენილი ქონების შემდგომი განკარგვისა და განვითარებისთვის გასათვალისწინებელი პირობა.

3.15. პრივატიზებულ ობიექტზე ნებისმიერი ნებართვა, ლიცენზია გაიცემა ან/და სხვა ნებისმიერი საქმიანობა წარმოებს საპრივატიზაციო შეზღუდვების გათვალისწინებით.

3.16. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სააუქციონო პირობები/შეზღუდვები ამ ხელშეკრულების და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე რეგისტრირდება მარეგისტრირებელ ორგანოში.

3.17. უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო დატვირთული ქონების მოთხოვნის უფლების მფლობელის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის ქონების შემძენის მიერ მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი საპრივატიზაციო ვალდებულებები, შეზღუდვები და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები, რადგან ქონების დატვირთვამდე ამ ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში მოთხოვნებისა და უფლებების შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზაციო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია.

3.18. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზაციო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში პრივატიზებული ქონება ბრუნდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) უფლება (უფლებები) უქმდება (მათ შორის იპოთეკის უფლება), რადგან ქონების დატვირთვამდე ამ ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში მოთხოვნებისა და უფლებების შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზაციო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. ამასთანავე, ქონების შემძენს მუნიციპალიტეტი არ აუნაზღაურებს გადახდილ თანხებსა და გაწეულ ხარჯებს.

3.19. ოქმითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების/სააუქციონო პირობების შესრულების დადასტურება ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი წესით.

3.20. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.21. აუქციონში გამარჯვებული ადასტურებს, რომ გაეცნო, ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

3.22. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე ორ ეგზემპლარად. სხვადასხვა ენაზე შედგენილი ხელშეკრულებების დებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

მუხრან ჯორბენაძე (პ/ნ 61009026911)


(ხელმოწერა)


(სახელი, გვარი)

აუქციონში გამარჯვებული:

შპს „შინჩიბა“-ს (ს/№445598443)

წარმომადგენელი

შუ მინგი (დაბ.02.10.1976წ. პ/№EE2557384)

/-----/
(ხელმოწერა)

/-----/
(სახელი, გვარი)

Terms of the announced auction

Contract

№ 09

Batumi 01 June, 2021

1. Parties to the contract, legal basis and subject matter

Present agreement is signed on the one hand by Executive agency of Batumi Municipality, presented by . Mukhran Jorbenadze (p/n 61009026911), a lawyer of the second category of the legal support department of the Batumi City Hall, acting on the basis of the order № 5.14.142115119 and on the other hand Ltd Shinchiba (i/c: 45445598443, represented by representative of the director Ozgur Kurt's (p/n: 3173165144506, U24430306) Shu Ming (born 02.10.1976 p/n: EE2557384), Hereinafter referred to as the "Buyer" or the "Winner of the Auction") on the grounds that the Organic Law of Georgia on Local Self-Government Code, "On Approval of the Rules for Privatization, Transfer of Use and Management Rights of the Municipality, Privatization Fee, Initial Privatization Fee, Rent Fee, Starting Fee and Payment Settlement" ordinance of № 669 of the Government of Georgia of December 8, 2014 and in accordance with the ordinance №37, April 11, 2018, of City council of Batumi "On the additional rules of property management of Batumi Municipality and the approval of the protocol confirming the victory in the auction, the purchase agreement and the forms of the certificate of ownership":

In Batumi, located on the territory of a machine-building factory, 3,946.0 sq.m. Non-agricultural land plot (land code (real estate) cadastral code 05.27.15.742) and in Batumi, located on the territory of a machine-building factory, 5 958.0 sq.m. further privatization of non-agricultural land plot (cadastral code of real estate 05.27.15.743) For further privatization, At the auction №42, conducted by executive agency of Batumi Municipality, on the lot №1 on the suggested price: 15 095 428,00 (fifteen million ninety-five thousand four hundred and twenty-eight) GEL, revealed as winner. The property, located in Batumi, on the territory of a machine-building factory, 3,946.0 sq.m. non-agricultural land plot (cadastral code of land plot (real estate) 05.27.15.742) and property, located on the territory of a machine-building factory, 5 958.0 sq.m. non-agricultural land plot (land plot (real estate) cadastral code 05.27.15.743, hereinafter - property) will be transferred to the ownership after the issuance of the ownership certificate, based on the fulfillment of the obligations under the protocol №05/2021, May 18, 2021.

2. Auction conditions / restrictions

2.1. The winner of the auction is obliged to pay 15,095,428.00 (fifteen million ninety-five thousand four hundred and twenty-eight) GEL for the full privatization of the property purchased at the auction in the following manner:

A) 30% of the total privatization fee - within 02 (two) months after the signing of this agreement;

B) 2.1. 30% of the full privatization fee after payment of the amount provided for in sub-paragraph "a" of the paragraph - within 04 (four) months after the conclusion of this agreement;

B) 40% of the remaining payment for full privatization (excluding the guarantee amount / base) - within 06 (six) months after the signing of this agreement.

2.2. Payment of privatization fee 2.1. The following bank account should be transferred to the following bank account 200122900 (in a single non-tax return (Batumi)), the receiving bank: State Treasury, bank code: TRESGE22, revenue treasury code 300693390 .--

2.3. It is known to the winner of the auction that on the land registered next to the privatized land plots with the cadastral code .05.27.15.744, the construction of the street is planned by the City Hall of Batumi Municipality, which should be joined by Arsen Odzelashvili. Street, which is not allowed by the privately owned registrar-bull, st. In Batumi, Odzelashvili st. Located in №4a, 171.00 sq.m. Non-agricultural land plot of 113.27 sq.m. Building (cadastral code: 05.27.15.722). The winner of the auction is obliged, within 6 months after the signing of the contract, by direct agreement with the owner and at his own expense to provide redemption from the owner of the mentioned real estate (cadastral code: 05.27.15.722), dismantling of the building-building, free Transfer of the land plot to the ownership of Batumi Municipality free of charge and implementation of relevant registration measures in the registration body for this purpose.

2.4. Agreement 2.1. And 2.3. The condition provided for in paragraph shall be reflected in the public register.

3. Other Terms and Obligations

3.1. Based on these conditions, the auction house, which won the auction, will be registered as the future owner of the acquired property.

3.2. Upon full repayment of the property purchased during the period of validity of the protocol and the contract, the winner of the auction will be given possession to the winner of the auction until the payment of the property is fully paid. It is authorized to obtain permits (for the construction of their community), licenses and other activities in connection with this property subject to the conditions / restrictions on privatization. In addition, the winner of the auction is responsible for the maintenance and protection of the property received.

3.3. The winner of the auction is obliged, in case of further use of the acquired property, to fulfill the obligations under the protocol and the contract, the requirements set forth in the current legislation and, upon request, to submit information on their fulfillment to the auctioneer.

3.4. Before confirming the ownership of the property purchased by the winner of the auction, st. Without the agreement of the executive body of Batumi Municipality, he has no right to lose, issue the right to use or otherwise encumber the leased property.

3.5. After confirming the ownership of the winner of the auction, during the period of validity of the auction, in case of alienation of the privatized property, the winner of the auction is obliged to transfer the property to the new owner of the same Under the terms and conditions set forth in the Protocol and the Pre-Agreement. The seller must be notified in advance of the alienation of the property.

- 3.6. In relation to the auction conditions of the purchased property, each new owner represents the legal successor of the winner of the auction.
- 3.7. Obligations are considered fulfilled by the executive body of Batumi Municipality from the moment of their confirmation.
- 3.8. In case of non-fulfillment of the obligation under the protocol and the contract, the winner of the auction receives a written warning, which indicates the term of correction of the violation and the amount of the fine. The amount of the fine is determined by the protocol and the contract based on the terms of the electronic auction, namely:
- A) In case of non-payment of the full value of the property of the municipality, 0.1% of the total value of the property of the municipality, on each day overdue from the date of violation (the penalty in the amount specified in the same paragraph) shall also be applied by the purchaser. 3.8.1 In case of violation of the payment schedule provided for in the condition);
 - B) 2.3 of this agreement. In case of full or partial violation of the obligation provided for in paragraph, the amount of the fine shall be 15 000,0 (fifteen thousand) GEL;
 - C) In case of non-fulfillment or improper fulfillment of other auction and protocol / contract conditions by the property owner of the municipality, the amount of the penalty shall be the final price of the property recorded at the electronic auction for each violation. 5 0.05% of the.
- 3.9. In case of repeated non-compliance with the protocol and the terms of the contract and non-payment of the fine within the prescribed period, the seller will cancel the auction results as a basis for cancellation. The winner of the auction will not be given the right to property, will not get a refund of the deposit or bank guarantee submitted, the amount paid and will not be reimbursed for expenses incurred.
- 3.10. The ownership of the winner of the auction is transferred to the full ownership of the purchased property after full payment of the fee, issuance of a certificate of ownership and registration with the relevant registration body of the acquired property. Proof of ownership will be issued to the winner of the auction and the ownership will be transferred subject to the fulfillment of the obligations / auction conditions.
- 3.11. Provides the registration of ownership rights in the registration body on the basis of a certificate of ownership and pays the registration costs to the winner of the auction.
- 3.12. The advance paid by the winner of the auction will be considered as the final settlement.
- 3.13. The winner of the electronic auction, in case of payment of the full privatization fee, the unconditional and irrevocable bank guarantee will be returned.
- 3.14. In case the restrictions are defined in the protocol and the contract, the mentioned designation shall be considered as a condition for further management and development of the acquired property.
- 3.15. Any permit, license or / or any other activity on the privatized object is subject to privatization restrictions.
- 3.16. The auction conditions / restrictions provided for in this Agreement shall be registered with the Managing Authority on the basis of these Contracts and Certificate of Ownership.

3.17. In case of transfer of the encumbered property due to non-fulfillment of the secured claim to the owner of the claim or during the sale in accordance with the Law of the Republic of Georgia on Enforcement Proceedings or the Civil Code of Georgia. In the form of such a sale) the privatization obligations assumed by the acquirer of the property to the new and subsequent owner are fully paid to the municipality. Liabilities and rights and obligations arising from these contracts, as the registrar of the relevant property on the basis of this contract and the certificate of ownership before the acquisition of the property Relevant information reflecting the privatization obligation (liabilities) is registered in the record on claims and rights in the white body.

3.18. In case of unilateral termination of the contract due to violation of the privatization conditions stipulated by this agreement, the privatized property shall be returned to the ownership of the municipality, and the right (rights) of the third person (persons) registered on this property shall be revoked (including The right to a mortgage), because before the encumbrance of the property, the requirements and rights in the two relevant registers on the basis of this encumbrance and proof of ownership Relevant information on privatization debt (liabilities) is registered in the information about. In addition, the property purchaser is not reimbursed by the municipality for the amounts paid and the expenses incurred.

3.19. Confirmation of the fulfillment of the obligations / auction conditions stipulated by the protocol and this contract shall be carried out in accordance with the rules established by the municipality.

3.20. Disputes relating to this Agreement shall be dealt with in accordance with applicable law.

3.21. The winner of the auction confirms that he has read, agrees to the content of the contract and signs this contract on a voluntary basis.

3.22. This Agreement is drawn up in duplicate in the Georgian and English languages. In case of any discrepancies between the provisions of the agreements drawn up in different languages, the agreement drawn up in the Georgian language shall prevail.

Representative of Batumi Municipality:

Mukhran Jorbenadze (p / n 61009026911) /



/ /

(Signature) (Name, Surname)

Auction winner:

Shinchiba Ltd (s / № 45445598443)

Representative

Shu Ming (born 02.10.1976 in P / № EE2557384) /

(Signature) (Name, Surname)



882021427676

განცხადების რეგისტრაციის დრო
01 ივნ 2021 12:19

გადახდის ნომერი: NW 19476829

განცხადების ნომერი: 19476829

განცხადების მიღების დრო: 01 ივნ 2021 12:19

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (დაინტერესებული პირი: სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი /245576826/ ,) რომლითაც მოთხოვნილია უფლების წინასწარი რეგისტრაციის წარმოშობა უძრავ ნივთზე. უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორია (ზონა:ბათუმი, სექტორი: სექტორი 27, საკადასტრო კოდი: 05.27.15.743)

განცხადებაში მოთხოვნილია საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადებას თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

1. დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

2. მინდობილობა და ხელშეკრულება იხ N882021427647

მომსახურების ვადა: 4 დღე.

საფასური: 50 ლარი.

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო SMS-ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



882021427647

განცხადების რეგისტრაციის დრო
01 ივნ 2021 12:17

გადახდის ნომერი: NW 19476798

განცხადების ნომერი: 19476798

განცხადების მიღების დრო: 01 ივნ 2021 12:17

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (დაინტერესებული პირი: სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი /245576826/,) რომლითაც მოთხოვნილია უფლების წინასწარი რეგისტრაციის წარმოშობა უძრავ ნივთზე. უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორია (ზონა:ბათუმი, სექტორი: სექტორი 27, საკადასტრო კოდი: 05.27.15.742)

განცხადებაში მოთხოვნილია საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადებას თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

1. დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
2. წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
3. წინასწარი უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი

მომსახურების ვადა: 4 დღე.

საფასური: 55 ლარი.

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო SMS-ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge